პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 30 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

945 (247) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. ნ. სტრ

## ცვალებადელი და ჩვენი გაზეთი

პირველი ტერშეკრება დასრულდა. ერთი თვის გამალებული მუშაობის შემდეგ ცვალებადელები ისევ თავის ყოველდღიურ შრომას დაუბრუნდენ. მაგრამ ისინი ისევ წითელ არმიელები, სამხედრო ვალდებული დარჩენ. ცვალებადელი დაბრუნდა რა ტერშეკრებიდან, მოვალეა იქ მიღებული სამხედრო ცოდნა გააფართოვოს. ცვალებადელი ტერშეკრებათა გარეშეც მჭიდროდ დაკავშირებულია წითელ ყაზარმასთან, თავის ნაწილთან. რაც უფრო ძლიერი იქნება ეს კავშირი, მით უფრო მეტ სამხედრო-პოლიტიკურ ცოდნას შეიძენს ცვალებადელი. ცვალებადელი მოვალეა თვით ამტკიცებდეს ამ კავშირს წითელ არმიასთან, მის ცხოვრებასთან. ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ცვალებადელის დასაკავშირებლად წითელ არმიასთან, მის მუშაობასთან, და აგრეთვე ცვალებადელზე მუდმივი სამხედრო გავლენის უზრუნველსაყოფად—წარმოადგენს ჩვენი გაზეთი.

ტერშეკრების დროს ცვალებადელები სწერდენ ჩვენს გაზეთში. საჭიროა ტერშეკრების გარეშეც არ შესწყვიტონ თავისი თანამშრომლობა. პირიქით კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ის. ამავე დროს ცვალებადელებმა უნდა გამოიწერონ ჩვენი გაზეთი, რომ მისი საშუალებით გაეცნონ წითელი არმიის მუშაობას და სწავლებას. ეს ბევრამეს შემატებს მათ სამხედრო და პოლიტიკური განვითარების დარგში. ცვალებადელმა უნდა მაწერონ იმის შესახებ თუ რას აკეთებენ ისინი სოფლად თავისი სამხედრო ცოდნის გასაფართოვებლად, მოსახლეობის გასამხედროების დარგში, აგრეთვე უნდა მოგვაწოდონ ცნობები თუ რა მიღწევებია სოფლად საბჭოთა აღმშენებლობაში და სხვა. ამით ცვალებადელები აგრეთვე დიდათ ხელს შეუწყობენ წითელი არმიის და სოფლის დაახლოებას.

სამწუხაროთ ცვალებადელებმა ტერშეკრების შემდეგ თითქმის შესწყვიტეს ჩვენს გაზეთში წერა. ეს მეტის მეტად სამწუხარო მოვლენაა. ჩვენი ტერნაწილების ამოცანას შეადგენს ეს ნაკლი რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოასწორონ ამაზე უნდა იზრუნონ ტერნაწილების კადრის მომუშავეებმა დაწყებული მეთაურით და გათავებული წითელი არმიელით. ამ მხრით ყოველი ხელსაყრელი მომენტი მათ უნდა გამოიყენონ, რომ მოუწოდონ ცვალებადელებს სისტემატიურად სწერონ ჩვენს გაზეთში და აგრეთვე გამოიწერონ ის. ჩვენი გაზეთიც ყოველმხრივ შეეცდება გამონახოს ისეთი გზები, რომლებიც უფრო დაახლოვებს მას ცვალებადელთა მასასთან ტერშეკრებათა შორის.

დაუკავშირეთ ცვალებადელი „წითელ არმიელს"!

რაც შეიძლება მეტი რიცხვი ცვალებად-საჩხკორებისა!

აი დამკვრელი ამოცანები, რომლებსაც უყენებს ჩვენი გაზეთი პირველ ყოვლისა ტერნაწილების კადრის სამხკორებს და მასთან ყველა კადრის მუშაკებს.

საჩქაროთ შეუდექით ამ ამოცანის შესრულებას!

## შვიდი წლის თავი.

შვიდი წლის წინად 1918 წელში 29 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა რუს. ახალ. კომკავშირის ორგანიზაციას. ამ ხანებამდე რუსეთის მშრომელ ახალგაზრდობას არ ქონდა თავისი საკუთარი ორგანიზაცია, რომელიც ყოველგან და ყოველთვის დაიცავდა მის ინტერესებს.

იმპერიალისტურმა ომმა რუსეთის მშრომელ ახალგაზრდობაშიც, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, წამოაყენა ერთ ორგანიზაციაში დარაზმვისა და მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

რუსეთში ახალგაზრდათა ორგანიზაციები პირველ ხანებში არსდებიან მთავარ საწარმოვო ცენტრებში—მოსკოვში, ლენინგრადში და სხ. ამ ორგანიზაციების ლეგალურ მუშაობის წარმოებას ფართო გასაქანი ეძლევა მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც პოლიტიკურად და ეკონომიურად სრულიად გაანთავისუფლა ის მუშებისა და გლეხების დაუძინებელ მტრებისა და ჩაგვრელებისაგან.

1918 წელში რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში ტარდება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საოლქო და საგუბერნიო კონფერენციები, რომლის შემდეგ 29 ოქტომბერს იმავე წელში იწვევენ სრულიად რუსეთის პირველ ყრილობას.

ამ ყრილობის დროს რუსეთის ახალგაზრდათა 125 ორგანიზაცია აერთიანებდა მხოლოდ 22.00 წევრს.

აღნიშნულ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა რუს. ა. ლ. კ. კ., გამომუშავდა პროგრამა და წესდება, ერთხმად მიღებულ იქნა კომპარტიის პლატფორმა და არჩეულ იქნა ახ კომკავშირის პირველი ყრილობა.

რ. ა. კ. კ. თავის ორგანიზაციას აყალიბებდა მთელი რუსეთის მაშტაბში მაშინ, როცა აქ ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომს. ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხების მიზნით რუსეთის მუშებსა და გლეხებს ომი გამოუცხადეს შინაურმა და გარეშე მტრებმა—ყველა ჯურის კონტრ რევოლიუციონერებმა და მოღალატე სოციალისტებმა.

ამ ომში რუსეთის მშრომელმა ახალგაზრდობამ, კომკავშირში დარაზმულმა აიღო სწორი ხაზი და სრული შეგნებით შეავსო წითელი არმიისა და წითელი ფლოტის რიგები ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

7 წლის განმავლობაში რ. ა. ლ. კ. კ. გაიზარდა საკმაოთ. მისმა ყოველდღიურმა საქმიანობამ დაარწმუნა მშრომელი ახალგაზრდობა, რომ ერთად ერთი მისი ინტერესების დამცველი მხოლოდ კომპარტია და მისი ღირსეული რეზერვი კომკავშირია. სწორეთ ამიტომაა, რომ რ. ა. ლ. კ. კავშირისაკენ მიილტვის დღეს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი.

ამ ჟამად რ. ა. ლ. კ. კ. აერთიანებს 1.500.000 წევრს, რომლებიც აქ იარაღდებიან ლენინიზმით, რომ მომავალში შეავსონ კომპარტიის რიგები და მტკიცედ იბრძოლონ მსოფლიო რევოლიუციისათვის.

მ. მ.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### მოითხოვენ რევოლიუციონურ-დემოკრატიულ მთავრობას.

### უცხოელები „მეგობრობას" უმტკიცებენ ჩინელებს.

### პეკინის დემონსტრაციების დროს პოლიცია რამოდენიმეჯერ სასტიკად დამარცხდა.

— ჩინეთის გაზეთებში გამოქვეყნებულია ჩინეთის კომკავშირის მანიფესტი, რომელიც სხვათა შორის მოუწოდებს ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ მტაცებლურ პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩინეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.

მანიფესტი მოითხოვს აგრეთვე სიტყვის, ბეჭდვის, კავშირების, ეროვნულ კრების მოწვევის თავისუფლებას და ხალხის მიერ არჩეულ რევოლიუციონურ—დემოკრატიულ მთავრობას.

— გაზეთების ცნობით ჩა—ძო—ლინს ვანზრახული აქვს ახლო დროში გაიყვანოს თავისი ჯარები პაოტინიდან და ტამინფუდან.

— საბაჟო კონფერენციის გახსნასთან დაკავშირებით ინგლისის ხელისუფლებამ კანტონის უცხოელთა უბანში გახსნა ჰისკარი ხიდის ინგლისის მხარეზე, რომელიც აერთებს უცხოელთა უბანს ქალაქის ჩინეთის ნაწილთან, რათა დაანახონ თავისი მეგობრული გრძნობები „კანტონის მოქალაქეებს".

— გაზეთები ბეჭდავენ დაწვრილებითი ცნობებს პეკინში მომხდარ დემონსტრაციების შესახებ და აღნიშნავენ, რომ პოლიციამ რამოდენიმეჯერ იგემა სასტიკი დამარცხება.

## სუნ-იატ-სენის სახელობის ჩინეთის უნივერსიტეტი

მოსკოვში დაარსდა ჩინეთის უნივერსიტეტი სუნ-იატ-სენის (ჩინეთის რევოლიუციონერი) სახელობაზე.

უნივერსიტეტს საფუძველი ჩაუყარა ეხლახან დაარსებულმა სუნ-იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებამ. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ არის იოფფე პრეზიდიუმში შედიან რადეკი, ბუხარინი, კრუპსკაია, ტომსკი, ბროიდე და ანცელოვიჩი. წევრები და კანდიდატები—პავლოვიჩი, ლოზოვსკი და ლეგავა. უნივერსიტეტის რექტორად არჩეულია რადეკი. სტუდენტთა რიცხვი განსაზღვრულია 250 კაცით. სტუდენტების შერჩევა სწარმოებს ჩინეთის ყველა კუთხეებში ჩინეთის სტუდენტთა ორგანიზაციების საშუალებით.

## საფრანგეთის მთავრობის კრიზისი

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პრეზიდენტმა დუმერგმა წინადადება მისცა პენლევეს კვლავ შეადგინოს მთავრობა და დაიტოვოს თავისთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა.

თუ პენლევე დამარცხდა, სხვა მინისტრთა თავმჯდომარეებად ასახელებენ ერიოსა და ბრიანს.

—დეპუტატთა პალატის წრეებში დადის ხმები, რომ პენლევემ მიმართა ერიოს შევიდეს ახალ მთავრობაში. ერიოს ჯერ არ მიუცია გარკვეული პასუხი.

—ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის შედგენა დაევალა პენლევეს.

## ფრანგების მიერ ქალაქ დამასკის დანგრევა.

ფრანგების ჯარების მიერ ქალაქ დამასკზე ყუმბარების დაშენის ცნობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლონდონში (ინგლისში). დაზიანებულა ინგლისის საკონსულო შენობა.

ყველა მიმართულებათა გაზეთები სასტიკად გმობენ ფრანგების მოქმედებას და სასტიკად ილაშქრებენ გენერალ სარაილისა და მემარცხენე ბლოკის (კავშირის) წინააღმდეგ.

## ინგლისელ კომუნისტების საქმე.

### ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

27 ოქტომბერს ინგლისის სასამართლომ განიხილა 12 კომუნისტის საქმე, რომელთაც ბრალდებოდა „შეთქმულობა აჯანყებისთვის".

სასამართლოს წარმოდგენილი აქვს მრავალი ყალბი საბუთები კომუნისტების მუშაობისა და მათი კავშირის შესახებ პროფინტერნთან (წითელი პროფკავშირი).

როცა სასამართლო დაეკითხა მძიებელ აგენტს, თუ რამდენი საბუთი იპოვნეს კომპარტიის ბინაზე, მან უპასუხა:

„ერთ მეოთხედ მილიონამდი". ამ პასუხმა გამოიწვია საერთო სიცილი.

საქმის გაგრძელება მეორე დღისთვის გადაიდო.

## სიტრინი ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს მთავარი მდივანია.

ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭომ დაადგინა მიანდოს საბჭოს მდივნის მოვალეობის ასრულება სიტრინს, სანამ პროფკავშირთა შემდეგი კონგრესი მოხდებოდეს.

## ხელის მოწერა საბერძნეთ-ბულგარეთის შეთანხმებაზე

რუმინეთის რწმუნებულმა როკანომ რუმინეთის მთავრობის სახელით და ბულგარეთის მთავრობის თხოვნით ხელი მოაწერა საბერძნეთ-ბულგარეთის შეთანხმებას დაკავებულ ადგილების დაცლის შესახებ.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთის ლენინურ ახკომკავშირის 7 წლის თავი.

29 ოქტომბერს რუსეთის ლენინური ახკომკავშირი დღესასწაულობს თავისი არსებობის შვიდი წლის თავს, რომელიც დაიწყო 1918 წლის 29 ოქტომბერს, კავშირის პირველი ყრილობის გახსნის დღეს.

მეშვიდე წლის თავზე კომკავშირი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური ახალგაზრდა მილიონების კულტურულისა და ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელსა და მომწყობს.

კავშირის რიგებში ითვლება მილიონ ნახევარი წევრი და კანდიდატი და ის ხელმძღვანელობს მილიონ ნახევრიან პიონერთა ახალგაზრდა ორგანიზაციას.

## მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციები.

პროფკავშირთა დელეგაციების მოწვევა.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირში ჩამოვა საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიისა და ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდობის მიერ არჩეული დელეგაცია. 7 ნოემბერს დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას ოქტომბრის დღესასწაულებზე მოსკოვში.

მოსკოვიდან დელეგაცია სამ ჯგუფად გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეებში.

— საბჭოთა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიმართონ დანიის და იაპონიის პროფკავშირებს გამოგზავნონ თავიანთი დელეგაციები საბჭოთა კავშირში.

## „სპეკულიანტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ვაჭრობასა და მრეწველობაში“.

საბჭოთა კავშირის სათანადო ორგანოებმა გამოსცეს შემდეგი ბრძანება საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს უმაღლეს სამეურნეო საბჭოსადმი:

„უკანასკნელ დროს მოსკოვის საფეიქრო ბაზარზე შემჩნეულია ფართლეულის გაძვირება, რომელიც დაკავშირებულია სპეკულიაციასთან. მოსკოვის ბაზრის გამოკვლევის დროს აღმოჩენილ იქნა ფართლეულის სპეკულიაციური გაყიდვის რამოდენიმე შემთხვევა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს ქვემდებარე ორგანიზაციებმა. საქმის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად დანიშნულია კომისია.

კომისიას მიცემული აქვს დარიგება: „სპეკულიანტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ვაჭრობისა და მრეწველობის ორგანოებში“.

## ჯაშუშთა სამხედრო ორგანიზაციის აღმოჩენა.

გეპეუს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) ორგანოებმა ლენინგრადში აღმოაჩინა ჯაშუშთა მსხვილი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა ლენინგრადის სამხედრო ოლქში.

გამოირკვა, რომ ეს ორგანიზაცია მოწყობილია ერთი მეზობელ რესპუბლიკის მიერ ერთ დიდ სახელმწიფოს ძიების ხელმძღვანელთან ერთად.

დაპატიმრებულთა შორის იმყოფებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, ყოფილი ოფიცრები.

გამოძიება ამ საქმეზე დამთავრებულია.

## ფლოტის რევოლიუციონური მოძრაობის მასალების გამოფენა.

ამ დღეებში ლენინგრადში გაიხსნება ფლოტის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის მასალების გამოფენა.

გამოფენაზე იქნება სხვათა შორის ლეიტენანტ შმიდტის ფლაგი, რომელიც აღმართულ იქნა შავი ზღვის ფლოტში კრეისერ „ოჩაკოვზე“ 1905 წლის აჯანყების დროს. იქნება აგრეთვე შმიდტის წერილები. გამოფენაზე იქნება აგრეთვე წითელი ფლოტის ისტორიიდან ყველა დროშები, რომლებიც წაართვა წითელმა მეზღვაურებმა თეთრგვარდიელებს.

# წერკუმსი-ს მოწოდება

## ამხანაგებო მუშებო, გლეხებო, წითელ-არმიელნო და ყველა მშრომელნო!

ძველმა მთავრობამ, სხვათა შორის, დაგვიტოვა ჩვენ ერთი მძიმე მემკვიდრეობა. ეს არის მშრომელთა მოსახლეობის მასიური სიბნელე, უვიცობა, წერა-კითხვის უცოდინარობა.

წერა-კითხვის უცოდინართა რაცხვი, 18—40 წლამდე, საქართველოში უდრის 369.076 კაცს, ანუ 61.5 პროც. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ძველი მთავრობა თავის ბატონობას მუშათა და გლეხთა უვიცობაზე და სიბნელეზე ამყარებდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ კი, რომლის ყოველი ნაბიჯი და ღონისძიება მიმართულია მშრომელი ხალხის-მუშათა და გლეხების კეთილდღეობისაკენ, იმთავითვე მიაქცია ყურადღება ხალხის ამ უძლიერეს მტერს და გადადგა კიდეც სათანადო ნაბიჯები.

ამხ. ლენინმა სთქვა: „ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საბჭოთა რესპუბლიკაში არ უნდა იქნეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი“-ო. მაგრამ ქვეყნის განადგურებულ მეურნეობის შედეგებით დატვირთულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო გამოეყო ამ საქმისათვის საჭირო ძალები და საშვალებები, მის თავის დროზე გასატარებლად.

ამხანაგებო, ჩვენი ვალია დავეხმაროთ ჩვენს ხელისუფლებას ამ დიდ საქმის განხორციელებაში. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ მშრომელთა ფართო წრეების ამოცანაა. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა ძალიან რთული და ძნელი საქმეა, იგი მოითხოვს ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ ორგანიზაციების და მუშათა და გლეხთა ფართო მასების დიდ ყურადღებას.

საზოგადოებრივი მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია. მას სათავეში უდგას „საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება“ — „წერკუმს“-ი.

საჭიროა ამ საზოგადოებაში ჩაბმულ იქნან ყველა მუშები და გლეხები, მუშა და გლეხი ქალები. ყოველ წარმოებაში, დაწესებულებაში და სოფელში დაარსებულ უნდა იქნეს „წერკუმს-ის უჯრედები და გაჩაღებულ იქნეს მათ გარშემო ცოცხალი მუშაობა.

მუშებო, გლეხებო, წითელ-არმიელნო და ყველა მშრომელნო! სახელმწიფო თქვენგან დახმარებას მოითხოვს ხალხის უძლიერეს მტერთან-სიბნელესა და უვიცობასთან ბრძოლაში, ჩაეწერეთ წერკუმს-ში და აქტიურად შეუწყვეთ ხელი მის მუშაობას.

შევებრძოლოთ ყველანი წერა-კითხვის უცოდინარობას.

„დეე ნუ დარჩება ჩვენს ქვეყანაში ერთი შეგნებული მოქალაქე წერკუმს-ის გარეშე, რომელსაც კი სწამს ჩვენი მუშურ გლეხური რესპუბლიკის უდიდესი მომავალი“.

**გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!**

**ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა!**

**გაუმარჯოს წერკუმს-ს!**

**წერკუმს-ის კვირეულის ჩამტარებელი კომისია.**

# სამხედრო საქმე.

## წვევამდე მომზადება.

### მეთაურის მუშაობა.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა ამ წელში, წვევამდე მომზადება თავს აღწევს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ის იმყოფებოდა დღემდი, ე. ი. ამ მომზადების შემთხვევითი ხასიათი მიმდინარე წელში ღებულობს გეგმიურ წესს. განსაზღვრულია დრო, არის პროგრამა, გათვალისწინებულია მისაცემად საჭირო თანხა, იგზავნება სასწავლო წერტებზე სხვა და სხვა სასროლო ხელსაწყო, ტაბულები, პლაკატები და სხვა.

ყველაფერი, რაც დღეს ჩვენთვის შესაძლებელია დაგზავნილია და იგზავნება.

მეთაურთა შემადგენლობის წინაშე, რომელიც ემზადება წვევამდე მომზადების ჩატარებისთვის, მწვავედ სდგას საკითხი: შესძლებს თუ არა ის გამოიყენოს ყველაფერი ის, რაც იქნება სასწავლო წერტზე და გამოიყენებს თუ არა ყველაფერს სათანადოდ.

რომ თვითეულ მეთაურს შეეძლოს ამ საკითხებზე პასუხის გაცემა, მან უნდა გადასინჯოს მთელი თავისი ცოდნის ავლა-დიდება (თავისი საქმის გამოცდილება და ცოდნა) და თუ რომ ეს ავლა-დიდება საკმარისი არ აღმოჩნდება — შეავსოს ის. ხოლო მცირედი ცოდნით ისეთი საპასუხისმგებლო და მასთან ახალ საქმეზე გამოსვლა, როგორიცაა წვევამდე მომზადება, არ შეიძლება. ბოროტმოქმედი უნდა იყოს ის, ვინც, თავისი მოუმზადებლობის გამო გააფუჭებს ამ ახალ წამოწყებას და, თუნდაც მცირედაც კი, შეაფერხებს წვევამდე მომზადებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვევამდე მომზადებას ჩვენს სინამდვილეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ამიტომ ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამას და სათანადოდ მოემზადონ მომავალ მძიმე და საპატიო მუშაობისათვის.

მეთაურთა შემადგენლობის ამოცანები მიმდინარე წელში მსუბუქდება იმით, რომ სამოსწავლო წერტები, თუმცა უნაკლოდ არა, მაგრამ მაინც დამაკმაყოფილებლად იქნება მოწყობილი უმეტეს შემთხვევაში; ხელსაწყო რამოდენიმედ იქნება, წვევამდელთა კვება, უეჭველია იქნება ქვაბზე, რაც აუმჯობესებს გარემოებას მუშაობისთვის და იძლევა შესაძლებლობას მეცადინეობის საწარმოებლად ზედიზედ რამოდენიმე დღით; იქნება აგრეთვე წვევამდელთა სწავლების ნორმალური პროგრამა და, ბოლოს, გადიდებულია ფულების გაცემა მეთაურთა შემადგენლობაზე, რომელიც მოწვეულია თადარიგიდან. ყოველივე ეს უსათუოდ ხელს შეუწყობს ისეთ გარემოების შექმნას, როგორიც საჭიროა ამა თუ იმ სწავლების გატარების დროს.

ყველა ამის შემდეგ დაგვრჩენია გავარჩიოთ უკანასკნელი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი: თვით მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მომზადება მომავალ მუშაობისთვის.

ამ პირობებში დაკმაყოფილება იმით, რაც წინად იცოდი, არ შეიძლება და წვევამდელი, უსათუოდ მოინდომებს მეტის ცოდნას, ვიდრე ეს წინად იყო. ის მალევე შეიგნებს მთელ მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და ამიტომ „შეუტევს“ მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას მრავალ სხვა და სხვაგვარ კითხვებით. რომ არ უპასუხო არ შეიძლება. ხოლო ამის გამო კი საჭიროა, სანამ გვიან არაა, გადასინჯო თავისი ცოდნა და შეავსო ნაკლი. შევსების წყაროდ პირველყოვლისა უსათუოდ იქნება ჩვენი ახალი წესდებები და ხელსაწყოები, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს საკმაოდ მოგვეპოვება.

მეთაურთა და პოლიტშემადგენლობავ, იჩქარე სამუშაოდ და ნუ დაჰკარგავ ძვირფას დროს!

ი. ბარ.

# კვლავ ფინანსიური კრიზისი.

საფრანგეთში გადადგა პენლევეს მთავრობა. გადადგომის მიზეზია საფრანგეთის ფულის — ფრანკის დაცემა.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში კარგი ხანია რაც დაიწყო. იმპერიალისტურ ომმა დიდათ დააზარალა საფრანგეთი. გაადიდა მისი ვალი და სახელმწიფო ხარჯები.

საფრანგეთის ბურჟუაზია დიდ იმედებს ამყარებდა გერმანიაზე. ის ფიქრობდა, რომ გერმანია ჩქარა გადაუხდის მას ვერსალის ხელშეკრულების მიერ დადებულ გადასახადებს. მაგრამ ეს არ მოხდა. თავისი ფულის კურსის გასამაგრებლად საფრანგეთი იძულებული შეიქმნა მიემართა ისევ გარეშე სესხისათვის. სესხის მიცემა მისთვის შეეძლო მხოლოდ ამერიკას, რომელიც განსაზღვრულ დრომდე მართლადაც უწევდა ამ მხრივ დახმარებას. მაგრამ ბოლოს ამერიკაც უარზე დადგა და პირიქით, ვალების გადახდა მოსთხოვა საფრანგეთს.

საფრანგეთი ჩავარდა გამოუვალ ჩიხში. შინაური გადასახადების გადიდება მას აღარ შეეძლო, ვინაიდან ის იმდენათ დიდი და მძიმეა ფართო მშრომელთა მასებისათვის, რომ მისი გადიდება დიდ უკმაყოფილებას და აღელვებას გამოიწვევდა. მსხვილი კაპიტალის დაბეგვრა საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია, ვინაიდან მსხვილი ბურჟუაზია სასტიკი წინააღმდეგია ამის. მთავრობა კი ბურჟუაზიის სურვილების წინააღმდეგ ვერ წავა. ყოფილმა ერიოს მთავრობამ ასეთი განზრახვისათვის კისერი მოიტეხა.

ერიოს „მემარცხენე“ მთავრობა შესცვალა უფრო მემარჯვენე მთავრობამ, რომელმაც ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მოიწვია ცნობილი ფინანსისტი კაიო.

ერთ დროს კაიოს სასტიკად სძულდა ბურჟუაზია, რადგან ის იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ გამოდიოდა.

გავიდა დრო, და კაიომაც იცვალა ფერი. ის გახდა ყურმოჭრილი მონა მსხვილი კაპიტალის ინტერესების.

ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს კაიო ატარებს მსხვილი ბურჟუაზიის ხაზს საფინანსო პოლიტიკაში. კაიო ყოველგვარ საშუალებას ხმარობს გაამაგროს საფრანგეთის ფულის კურსი, მაგრამ ვერც მისი ნიჭი შველის საქმეს. დროებით შეჩერებული ფრანკი კვლავ დაექანა უფსკრულისაკენ. კაიო უძლური გახდა შეეჩერებია მისი დაცემა. მთავრობაც იძულებული გახდა გადამდგარიყო. პენლევეს მთავრობა ეგრედწოდებული „მემარცხენე“ ბლოკის (კავშირის) მემარჯვენე ფრთის მთავრობა იყო, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. „მემარცხენე“ ბლოკი — ეს საფრანგეთის წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის კავშირია. მისი მემარცხენე ფრთა თითქოს მსხვილი ბურჟუაზიის დაბეგვრის მომხრეა. პენლევეს დაცემის შემდეგ „მემარცხენე“ ბლოკის „მარცხენა“ ფრთიდან კვლავ მოისმის ხმა კაპიტალის დაბეგვრის შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს ცარიელი სიტყვებია. ვერც მარცხენა და ვერც მარჯვენა ფრთა „მემარცხენე“ ბლოკისა ვერ გაბედავს მსხვილი კაპიტალის დაბეგვრას. ფინანსიური კრიზისი კი იმდენათ გამწვავდა, რომ ის დიდ შინაურ გართულებებს უქადის საფრანგეთს. ვერც „მემარცხენე“ ბლოკი და ვერც მსხვილი ბურჟუაზიის პარტიები ამ კრიზისს ვერრას უშველიან. პირიქით უფრო გაამწვავებენ მას. ამის საუკეთესო მტკიცებას წარმოადგენს მაროკოს ავანტიურა, რომელმაც კიდევ უფრო შეარყია საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა. ასეთი ავანტიურის წამოწყებას კიდევ არა ერთხელ შეეცდება იმპერიალისტური ბურჟუაზია. ფინანსიური კრიზისი კი უპირველეს ყოვლისა მძიმე ლოდივით დააწვება მშრომელთა მასებს, და ისინი კიდეც ალაპარაკდებიან ისეთ ენაზე, რომელიც დიდათ არ ესიამოვნება არც საფრანგეთის ბურჟუაზიას და მის ერთგულ ლაქიებს გამყიდველ სოციალისტებს.

—ე.

## ახალი მეთაურები ჩვენთან.

3-მე ლეგ. სკოლა.

ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაში მივლინებული არიან ახალი მეთაურები მეთაურთა სამხედრო სკოლიდან. ამხანაგები დიდი ყურადღებით ეპყრობიან წითელ არმიელებს ხშირად მართავენ მათთან საუბრებს და ნამდვილ ამხანაგურ დამოკიდებულებაში არიან. სკოლის მსმენელები ხშირად მიმართავენ ამხანაგებს სხვა და სხვა საკითხების გასარკვევათ, რასაც ისინი დიდი სიამოვნებით ასრულებენ.

სამხკორი კ. ჩიხრაძე.

## ჩვენი ბატარეიაც მოეწყო.

2-რე არტლეგიონი.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენი ბატარეია დაბრუნდა საზამთრო ბინებში. დაიწყო საზამთრო სამზადისი. ყაზარმების მოწყობაში მთელი შემადგენლობა ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. წითელი კუთხისა და ბიბლიოთეკის მოწყობაში მეთაურთა შემადგენლობაც უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა მუშაობაში. საჭიროა მეტ ლიტერატურას შეიძენდენ ლენინის კუთხისთვის.

სამხკორი ჯავახიშვილი.

## სადილს გამოკეთება ესაჭიროება.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის არმიელებისათვის ორი თავისაგან ამზადებენ სადილს, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გააფუჭეს. არც ერთი თავი არ არის ნოყიერი, რაც ხშირად უკმაყოფილებას იწვევს არმიელებში. თუ შეუძლებელია ორი თავის კარგად დამზადება, სჯობს იყოს ერთი და კარგი. ასე წყალ-წყალა სადილები არავის ბოაფერს არგებს.

სამხკორი ა. არველაძე.

## ჩვენი საკავშირო კომისიის საქმიანობა.

მე-3 ლეგიონი.

13 ოქტომბერს შესდგა ხსენებული ლეგიონის საკავშირო კომისიის სხდომა, სადაც დაესწრენ ყველა წევრები და აგრეთვე პოლიტგანყოფილების რწმუნებული ამხ. კოპაძე. მოკლე მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა კომისიის მუშაობა ზაფხულის განმავლობაში და განხილული იქნა მომავალი მუშაობის გეგმა. მე აქ არ მომყავს ის სტატისტიკური ცნობები, რომელიც უკვე იყო ჩვენს გაზეთში, ხოლო შევეხები იმას, რაც უფრო მნიშვნელოვანია. ლეგიონის საბანაკოდ გასვლამდე ჩვენ მოვაწყვეთ ექსკურსია საშეფო სოფელ წყალტუბოში, სადაც გლეხობა დიდი აღფრთოვანებით შეგვხვდა. მოვაწყვეთ სხვა და სხვა სათამაშოები—გასართობები მოხსენებები და სხვა. საბანაკოდ გასვლისას ჩვენ არ გაგვიწყვეტია „მათთან კავშირი და უგზავნიდით გაზეთებს და ჟურნალებს.

ამას გარდა სურამში ყოფნის დროს სომხურ მეთაურთა სკოლასთან ერთად ავიღეთ შეფობა სოფ. ბეკამზე, სადაც ორხელ მოვაწყვეთ ექსკურსია. გვქონდა მათთან მჭიდრო კავშირი (ხელაც გვაქვს), უწერთ გაზეთებს, გავიგეთ მათი პროგრამი და სხვა.

ვახმარდით გლეხებს ყანაში სამუშაოდ წითელარმიელებს, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მათში. წ. არმიელის არც ერთი განცხადება არ დარჩენილა უყურადღებოთ; ოთხას ცალამდე მარტო მოწმობები გაიცა სამეურნეო გადასახადის შეღავათების შესახებ და ეხლაც ღებულობენ ჩვენი წ. არმიელები; აღდგენილი გვაქვს კავშირი სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ამ მოკლე ხანში აღგენილი იქნება კავშირი „ვუზებთან“.

ქუთაისში ჩამოსვლისას არქეოლის გორაზე, უსახელო ქუჩის შემკეთებელ კომისიას მივახმარეთ 160 წ. არმიელები, რის გამოც იმ უბნის მცხოვრებლებმა დიდი მადლობა გამოუცხადეს ლეგიონს და სურვილი გამოსთქვეს ქუჩას, რომელიც ეხლა გაკეთდა ეწოდოს მე-3 ლეგიონის სახელი. ყველა ასეულების ფარგლებში გამოყოფილია სექციები, რომელიც ლენკუთხეებში მორიგეობით აწარმოებს ს. ს. რ. კ. კანონების შესწავლას და სხვა ასეთები.

გოგია ჭილელი.

## უსუფთაობა გვაწუხებს.

მე-2 საკავშირო ასეული.

აგერ ერთი თვე იქნება, რაც აბანოში არ ვყოფილვართ. ჭუჭყი ზედმეტად გვაწუხებს. არც საცვლებს გვირიგებენ, რომ ის მაინც გამოვიცვალოთ.

ერთი თვეა საცვლები არ გაგვიხდია. მრავალჯერ მივმართეთ ამის შესახებ ვისაც ჯერ არს, მაგრამ თავს არავინ იწუხებს. სანამდე უნდა ვიქნეთ ასეთ მდგომარეობაში?

დროა მოგვექცეს სათანადო ყურადღება.

წ. არმ. მაგიდა.

## მუშაობა გაცხოველდა.

2-ე არტლეგიონი.

ერთი თვეა, რაც ჩვენი ლეგიონი დაბინავდა საზამთრო შენობაში. უკვე მოწყობილი ვართ ყოველმხრივად. სამკითხველო, ლენინის კუთხეები და სხვა წრეები გახსნილია. პოლიტსაათები ჩვეულებრივი ინტერესით და ნაყოფიერებით სწარმოებს.

ხშირად იმართება აგრეთვე ხმამაღალი კითხვა ლენინის კუთხეებში, რაც ძლიერ იზიდავს არმიელებს. აქ ირკვევა ყველა გაუგებარი აზრები, ყველას შეუძლია თავისი აზრი გამოსთქვას ამა თუ იმ საკითხზე და გაიგოს თუ რამდენად მართალია მისი შეხედულება.

სამხკორი ხ..ტეველი.

## ღორებმა აგვიკლეს.

2-რე ლეგიონი.

ლეგიონის სამნეო ასეულის უფროსს და ზოგიერთ სხვა ასეულების უფროსებსაც ყავთ 30-მდე ღორები. დავიწყებთ თუ არა სადილობას ღორების მთელი ჯოგი მოგვადგება და თუ გუშაგები არ დავაყენეთ გვტაცებენ პურებს და ხშირად კერძსაც.

ლეგიონის სამზარეულოში ხომ თავი აქვთ მოძულებული მათგან. სამზარეულოს შესავა-



ლი კარები სულ ღორებს აქვთ დაკავებული და ხშირად იტაცებენ სანოვაგეს. მზარეულებს დიდი ბრძოლა აქვთ მათთან მაგრამ მაინც ვერას გახდენ. ასეულების გარშემო მიდამოები ხომ სულ დათხრილია მათგან და სისუფთავეს ვეღარ ვიცავთ. სანამდე უნდა ითარეშონ ასე ღორებმა?

მოგვაშორეთ სანამ ჩვენ დაგვჭამდენ.

სამხკორი მძიებელი.

## ჩვენს სამხკორთაშორის.

პირველი არტლეგ. სამხკორთა წრე.

დიდი ხანი არ არის, რაც ლეგიონში დაარსებული იქნა სამხკორთა წრე, სადაც თავიდანვე სისტემატიურად მიმდინარეობდა მეცადინეობა. ხელმძღვანელი საკმაოდ გამოცდილი გვყავს. ამ ჟამად წრემ მეცადინეობის მთელი ყურადღება გადაიტანა ახალწვეულთა შეხვედრ სამზადისისაკენ. ვეცნობით და ვიმუშავებთ გეგმებს თუ როგორ უნდა შევხვდეთ ახალ ცვლას და როგორ უნდა ჩავითრიოთ ისინი სამხკორთა მუშაობაში. ერთ დაბრკოლებას მაინც აქვს ადგილი ჩვენს მეცადინეობაში. მუშაობა გვიხდება საღამოობით ლენინის კუთხეში, სადაც ყოველთვის მრავლად არიან თავმოყრილი წითელ-არმიელები და ხმაურობენ. საჭიროა გამონახავდენ შესაფერ მყუდრო ადგილს მეცადინეობისათვის ან და შესცვლიდენ დროს.

სამხკორი ქვარნათელი.

## პოლიტსაათი დამაკმაყოფილებელია.

ნ-თე ლეგ. აფხაზეთის 6-ხე ასეული.

ცვალებად არმიელების გრძელ ვადიან შვებულებაში წასვლის შემდეგ ასეულში მეცადინეობა არ შეწყვეტილა. ძველ წერტზე ჩასვლის შემდეგ პირიქით კიდევ უფრო გამოცოცხლდა პოლიტიკური და სხვა ხასიათის მეცადინეობა. პოლიტხელი სისტემატიურად ატარებს საუბრებს, რაც დიდ ინტერესს იწვევს ასეულის არმიელებში. წარსულთან შედარებით გაცილებით უფრო გამოცოცხლდა პოლიტმეცადინეობა. დაიწყება თუ არა საუბარი ჩამოვარდება მკვდარი სიჩუმე და გულდასმით უსმენენ პოლიტხელმძღვანელის თითეულ სიტყვას. მოკლე ხანში ჩვენი არმიელები საკმაოდ მომზადებული იქნებიან ამ დარგში და თამამად შეეძლებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ ახალწვეულ ამხანაგებს.

სამხკორი ე. კიკალიშვილი.

## პარტიული ცხოვრება

2-რე ლეგიონი.

20 ოქტომბერს შესდგა მეორე ლეგიონის 8 და 7-დე ასეულების კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ ასეულების წითელ-არმიელთა მთელი შემადგენლობა. კრებამ მოისმინა მოხსენება სარწმუნოების წარმოშობისა და კომუჯრედის მდივნის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა სარწმუნოებაზე ძლიერ გასაგები ენით გადასცა არმიელებს, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანის თავში უხილავისადმი რწმენა, რა უწყობდა ამას ხელს და როგორ მოქმედობს ეს ცრუ მორწმუნოება ადამიანის განვითარებაზე. მრავალი შეკითხვების შემდეგ, ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც გმობს რელიგიას, როგორც მშრომელი ხალხის გონების დასაჩლუნგებლად მოგონილ ხერხს.

კომუჯრედის მდივნის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ არჩეული იქნა უჯრედის ახალი მდივანი. მიმდინარე საკითხებში საყურადღებო არაფერი წამოჭრილა.

გ. ბურდილაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

კავშირი არ გაგვიწყვეტია.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ჩვენი სკოლის ახკომკავშირელთა ჯგუფს კავშირი ჰქონდა დაჭერილი აზერბაიჯანის პოლიტსკოლის ახკომკავშირელთა უჯრედთან, რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა.

ეს კავშირი და ურთი-ერთობა მართალია წერილობითია ჩვენს შორის, მაგრამ ერთმანეთის მუშაობისა და ცხოვრების გაცნობაში ამასაც დიდი სარგებლობა მოაქვს. ჩვენ ვითვალისწინებთ ერთმანეთის საქმიანობას და ვასწორებთ შეცდომებს ჩვენს მუშაობაში თუ კი ასეთი მოიპოება. მეორე მხრივ ჩვენი მოძმე ერის სამხედრო პოლიტსკოლის მთლიან მდგომარეობასაც ვეცნობით, როგორც ისინი ჩვენს სკოლას. უკანასკნელად ამხ. მიღებული წერილით ჩვენ დავინახეთ თუ რა დიდ მუშაობას აწარმოებენ ისინი და როგორ ეპყრობიან და რას ავალებენ სკოლა დამთავრებულ კურსანტებს. სკოლის ახკომკავშირის მუშაობა კარგად ყოფილა დაყენებული. 26 სექტემბრიდან მოუწვევიათ სულ 5 თი საერთო კრება და ბიუროს სხდომა ხუთჯერ. კავშირს საკმაოდ მომზადებული ამხანაგები გადაუცია პარტიისათვის. ჩვენც ვაცნობეთ ამხანაგებს ჩვენი მუშაობის შესახებ.

სამხკორი მ. საწირელი.

## წითელ არმიელთა წერილებიდან.

### მოგვაქციეთ ყურადღება.

მე-2 არტლეგიონი.

ლეგიონის მეორე საველე ბატარეიის არმიელებს დიდი ხანია, რაც დაგვიძვა ფეხსაცმელები და ფეხშიშველი გვიხდება სიარული. რამოდენიმეჯერ მივმართეთ უფროსებს ფეხსაცმელების შეკეთების შესახებ, კედლის გაზეთშიც კი მოვათავსეთ ამაზე წერილი, მაგრამ მაინც არავინ გვაქცევს ყურადღებას.

საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება ან შეგვიკეთონ და ან გამოგვიცვალონ ფეხსაცმელები.

წ. არმ. ძველი.

### მოგვეცით ჩაიდანები.

მეთაურთა სკოლა.

სკოლის სასადილოში არ არის საკმაო ჩაიდანები და სკამები, რის გამო მოცემულ დროში ჩაის დალევას ვერ ვასწრებთ. გვიხდება თითო საათი ფეხზე დგომა და ჩაის მოლოდინი. ამასობაში მოდის მეცადინეობის დაწყების დრო და თუ მოვცდით, ვღებულობთ შემჩნევას. ამის გამო ხშირად მშიერი ვრჩებით დილაობით.

მოაგვარეთ ეს საქმე, ვისაც გეხებათ.

სამხკორი რ. ქორი.

### სასადილოში დიდი უსუფთაობაა.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონის სკოლის შემადგენლობასა და რამოდენიმე სხვა ასეულებს ერთ სასადილოში გვიხდება სადილობა. არ გვაქვს საკმაო მაგიდები და სკამები. სადილს ზოგი ფანჯრებზე სჭამს და ზოგი იატაკზე. ორი მაგიდა, რომელიც ისედაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას ყოველთვის მოსვრილია და საზარელი სუნი უდის, მაგიდებს არავინ წმენდს სადილის შემდეგ. ხშირად იატაკზეც კი ყრიან პურის ნამცეცებს და ძვლებს.

ასეთ ანტისანიტარულმა მდგომარეობამ შესაძლებელია ცუდი მოვლენის წინაშე დაგვაყენოს. სად არის ექიმები, მნე ან სამნეო კომისია? დროა ბოლო მოეღოს ამ უსუფთაობას.

სამხკორი კოლიშა.

# უკანასკნელი ცნობები.

რადიო დეპეშები.

## დახმარება მუშა-გამომგონებლებს.

რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკამ და გზათა კომისარიატმა მიმართეს ყველა გზებს წინადადებით განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ მუშა-გამომგონებლებს. გამომგონებელი ავტორები დაჯილდოებულ უნდა იქნან წლიური ეკონომიის 30 პროც. რომელიც მიღწეულ იქნება გამოგონების შედეგად.

## არმიაში გაწვევა.

— 20 ოქტომბერს ლიუქსემბურგში დამთავრდა 1903 წელში დაბადებულთა გაწვევა. გაწვევაზე გამოცხადდა თითქმის 90%. გაწვევა გაცხოველებით ჩატარდა.

— ახალსენაკის მაზრის ყველა რაიონებში დამთავრდა არმიაში გაწვევა. გაწვევაზე გამოცხადდა ასივე პროცენტი.

## გლეხთა დაწინაურება.

თელავის მაზრის აღმასკომის სამიწო განყოფილების გამგედ დანიშნულია სოფელ რუის-პირის თემის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე გლეხი ისაკი თანდილაშვილი.

## აჭარისტანი.
## სარწყავ არხების გაყვანა და საგზაო აღმშენებლობა.

მიმდინარე სახარჯთაღრიცხვო წელში სარწყავ არხების გაყვანის საქმეზე და საგზაო აღმშენებლობაზე აჭარისტანის მაზრებისთვის გადადებულია ხულოს მაზრის თვითეულ თემისთვის 4.000 მანეთი და სხვა მაზრის თვითეულ თემისთვის 3.000 მანეთი, სულ 61.000 მანეთი.

# უცხოეთის არმიებში.

**ოფიცრებს არ სურს ომი**

საფრანგეთის 35-ტე ფეხოსანთა ლეგიონში ამ დღეებში, ერთ დამახასიათებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ლეგიონიდან გამოყოფილი იქნა სირიაში დრუზების წინააღმდეგ საბრძოლველად 700 კაცი და მათ შორის ორი ოფიცერი გერმანი და ბრო. ამ ნაწილის ფრონტზე გაგზავნის დროს რაღაც საიდუმლო ისტორიას ჰქონდა ადგილი, რომელიც შემდეგ გამოირკვა გავრცელებული ხმებით.

საქმე შემდეგში ყოფილა: კაპიტან გერმანი არ დათანხმდა სირიაში წასვლაზე და შეიტანა განცხადება სამსახურიდან გადადგომის შესახებ. უფროსმა განცხადება არ მიიღო და გერმანის საქციელი ჩასთვალა, როგორც სამხედრო დისციპლინის დარღვევა, საქმე გადასცა საგამომძიებლო კომისიას. რაც შეეხება მეორე კაპიტან ბროს, როგორც სჩანს ისიც ასე მოქცეულა მაგრამ გარკვეულად არ აქვეყნებენ. სჩანს საფრანგეთის ოფიცერთა წრეშიც დაიბადა უკმაყოფილება, გამუდმებული სისხლის ღვრის გამო.

**ვინ დანიშნეს ლიოტეს ადგილზე.**

გენერალი ლიოტე როგორც ვიცით იყო საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალი მაროკოში. ისიც ვიცით, რომ საფრანგეთის მთავრობამ ის გადააყენა ამ თანამდებობიდან. მას ბრალად დაედვა მრავალი ფულის გაფლანგვა და ამას გარდა იძულებული იყვენ გადაეყენებიათ ის საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მოთხოვნით, როგორც საშინელი მკაცრი და დაუნდობელი. ეხლანდელი საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალი მაროკოში სტეგი ცნობილია თავისი სიმკაცრით, როგორც ძველი გამოცდილი კოლონიალისტი. ის სამ წელიწადს იყო ალჟირის მართველად წინად და ბევრს ახსოვს მისგან სიმწარე. ცხადია მაროკოშიც არ დასტოვებს ის ძველ ნაცად გზას. მით უარესი საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის.

# ამბები სოფლებიდან.

**საქონლის ჭირი რაჭაში.**

ქვემო რაჭაში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

**დახმარება კოოპერაციას.**

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება ძირითად კოოპერაციას სესხის მიცემით.

**ზუგდიდში გაიხსნა**

ზუგდიდის მაზრის იუსტიციის მუშაკთა თათბირი.

**ფოთის გლეხკომს**

გურიაში და სამეგრელოში გადაწყვეტილია გადასცენ ტყის ნაკვეთები დასამუშავებლათ.

**რაჭაში და ლეჩხუმში**

გლეხკომების მუშაობის გამოსაკვლევათ უზრუნველყოფის კომისარიატმა გაგზავნა თავისი წარმომადგენლები.

# ახალი ამბები.

— ლენინის სახელობის ტანთსავარჯიშო მოედნის მოსაწყობათ თფ. აღმასკომმა გადასდო 2 ათასი მანეთი.

— მოტოციკლეტები ამერიკიდან. ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრ. კომისარიატმა ამერიკიდან გამოიწერა 30 მოტოციკლეტი.

— მოძრავი ფოსტა. ა.-კ. ფოსტა-ტელეგ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს მოძრავი ფოსტა იმ სოფლებში, სადაც ფ.-ტ. დაწესებულებები არაა.

— ყრუ-მუნჯთა აღრიცხვა ამჟამად მიმდინარეობს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

— ომის ინვალიდთა სამხატვრო ნადი ხსნის ფოტოგრაფიულ სახელოსნოს.

— მარტო ტფილისში სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით აყვანილია აღრიცხვაზე და დახმარება ეძლევა 2 ათას ომისა და შრომის ინვალიდს.

— ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გადასწყვიტა მოახდინოს გადასახადის ამკრეფ აპარატების გამოკვლევა.

— სპილენძის ჩამოსასხმელ ქარხნისათვის მოსკოვიდან მიიღეს 120 ცხენის ძალიანი დინამო მანქანა.

— ტყავეულობა საზღვარგარეთიდან ა. კ. კოოპ. კავშირი მომავალ წელს საზღვარგარეთიდან შემოიტანს 100 ათასი მანეთის ტყავეულობას.

— თამბაქოს დამზადება. შინა-ვაჭრობის კომისარიატის ცნობით საქართველოში წელს დამზადებულ იქნება ნახევარი მილიონი ფუთი თამბაქო.

— საბარგო ავტომობილები. ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 5 საბარგო ავტომობილი.

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. დაბადებული ვარ 1899 წ. ჯარში არ მიმსახურია. ამა წლის 15 აგვისტოს მე გამიწვიეს სავარჯიშოთ და ვიმსახურე 5 ოქტომბრამდე უმცროს მეთაურათ. მეხება თუ არა მე 1925 წ. ტერნაწილში გაწვევა?

წ. ა. ალ. ჭანტურაია.

პასუხი. თქვენ წელში დაბადებულებს იწვევენ მხოლოდ მეთაურებს. თქვენ გაწვეული ხართ როგორც მეთაური.

კითხვა. სურვილით დარჩენილ უმცროს მეთაურებს ეძლევა თუ არა საზამთრო ტანსაცმელი?

პასუხი. უმცროს მეთაურებს ტანსაცმელი ეძლევათ ისე, როგორც წ. არმიელებს.

კითხვა. მე ოჯახური მდგომარეობის გამო ვიყავი მიწერილი ტერნაწილში, მაგრამ შეცდომით მოვხვდი კადრში. დიდ გაჭირვებას განიცდის ჩემი ოჯახი. ვის უნდა მივმართო დახმარებისთვის?

კურსანტი ა—ძე.

პასუხი. დაშვებულ შეცდომის შესახებ მიმართეთ თქვენს უშუალო უფროსს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა. რაც შეეხება უმწეო ოჯახურ მდგომარეობას ამის შესახებ მიმართეთ ადგილობრივ აღმასკომს.

კითხვა. ვმსახურებ მე-3 ლეგ. ოცეულის მეთაურათ. საოჯახო ულუფას ვღებულობდი ივლისამდი, შემდეგ მომისპეს. მეკუთვნის თუ არა?

ქათამაძე.

პასუხი. თუ ოჯახურ მდგომარეობაში რაიმე ცვლილება არ მოხდა და ზედმეტ მსახური ხართ, გერგებათ.

კითხვა. უმცროსს მეთაურს (მამასახლისს) ეკუთვნის თუ არა შესაკერი მატერია?

წ. ა. თ—ზო.

პასუხი. უმცროს მეთაურები ტანსაცმელს ღებულობენ ისე, როგორც წ. არმიელები.

კითხვა. ვადით შვებულებაში მიმავალ უმცროსს მეთაურებს ეკუთვნით თუ არა ორი თვის ჯამაგირი და 2 თვის სალიკვიდაციო?

პ—ლი.

პასუხი. თუ ზედმეტი მსახური ხართ გეკუთვნით მხოლოდ ორი კვირისა, ე. ი. ორი კვირით ადრე იქნებით გაფრთხილებული, რომ სამსახურიდან განთავისუფლებენ.

კითხვა. დავრჩი ზედმეტ მსახურათ უმცროს მეთაურის თანამდებობაზე. რომელ თვიდან მივიღებთ ჯამაგირს და რამდენი გვეკუთვნის?

ქავთარაძე.

პასუხი. ჯამაგირს მიიღებთ პირველ ნოემბრიდან შტატის მიხედვით.

კითხვა. ოცის თავის თანაშემწე სარგებლობს თუ არა ტანსაცმლის მიღების დროს საშუალო მეთაურის უფლებებით?

პასუხი. ზოგ ტანსაცმელს ღებულობს ისე, როგორც საშუალო მეთაური და ზოგს კი არა.

კითხვა. მე ვარ ღედის ერთა. მყავს შრომის უნარ მოკლებული მშობლები, რომლებიც გაჭირვებას განიცდიან. ვმსახურებ კადრში. როგორ შეიძლება გადავირიცხო ტერნაწილზე, ვინაიდან შეცდომით მოვხვდი კადრში?

შაუთიძე.

პასუხი. თქვენი შეცდომით გამოწვევა გამოწვეულია თქვენ მიერ თავის დროზე სათანადო საბუთების წარუდგენლობით გაწვევის დროს. ეხლა თქვენ უნდა იმსახუროთ ვადის გასვლამდე. ოჯახის გაჭირვების შესახებ მიმართეთ ადგილობრივ აღმასკომს.

კითხვა. ვარ გაწვეული 1924 წ. მაისში. ვმსახურებ პურის მცხობლათ. როდის გამანთავისუფლებენ?

ბებერაშვილი.

პასუხი. ნაწილი უკვე გაანთავისუფლეს და ნაწილს გაანთავისუფლებენ 1 დეკემბრამდი.

# ნარევი.

**ბრძოლა ზღვის საოცრებასთან.**

ერთ ნორვეგიელ კაპიტანმა, რომელიც წასული იყო ზღვის ვეშაპებზე სანადიროთ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განაცხადა შემდეგი: ნორვეგიის ერთ სანაპიროსთან მან შეამჩნია 40 მეტრის (20 საჟ.) სიგრძე ვეშაპი. დაიწყო მასთან ნადირობა. რამოდენიმე ხნის დევნის შემდეგ მონადირეებმა შესძლეს დაერჭოთ ჩანგალი ვეშაპისათვის, რომელიც ზღაპრული სისწრაფით გაქანდა ზღვაში. ცურვის დროს გემის წინ ამდგარი ტალღები წუთობით ახლოვებდა დაღუპვის მომენტს. გემის უფროსმა გასცა ბრძანება მიეცათ გემისთვის უკან მოძრაობით მიმართულება, რომელიც უდრის ასეთ შემთხვევებში საათში 10 კვანძს. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვეშაპი მაინც მიაქანებდა გემს 8 კვანძის სიჩქარით წინ მთელი რვა საათის განმავლობაში. ამასობაში ამოვარდა ქარიშხალი. 10 სანტიმეტრის სიგანე ჯაჭვი გაწყდა და ვეშაპიც გაიქცა. მონადირეები სიბრაზისაგან აატირა ამ გარემოებამ.

**უზარმაზარი კუ.**

ჩრდილოეთ ამერიკის მეთევზეებმა ზღვაში გასვლისას შეამჩნიეს უზარმაზარი ზღვის კუ. მეთევზეებმა სცადეს მისი დაჭერა და მოსდევს კუს კიჟერზე მარყუში. შვიდი საათის ბრძოლა დასჭირდათ მათ, რომ გამოეყვანათ კუ ნაპირზე. კუს სიმაღლე უდრის ერთ საჟენს, სიგრძე კი 9 ფუტს. იწონის 1320 გირვანქას. აქამდე ნახულ კუებს შორის ეს კუ ყველაზე უფრო დიდია.

# პასუხად წით. არმ. ამხ. კალანდარაშვილს.

გაზეთ „წით. არმიელის“ № 228 და 227-ში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც პირადათ მე მეხება: ვითომცდა თქვენი ფული დღემდი მე მქონდეს მითვისებული, რაც სიმართლეს სრულებით მოკლებულია.

თქვენი სახლიდან გამოგზავნილი ფული 10 მანეთი მე შეცდომით მივიღე სურამის ფ. ტ. კონტორიდან. სჩანს, რომ თქვენ უკვე დაგვიწყებიათ თქვენ მიერ გაცემული მინდობილობა, აღნიშნული ათი მანეთი, თანახმად თქვენი მინდობილობისა და წერილისა, გადავეცი მე-2 ლეგიონის განყ. მეთაურს ამხ. გალაქტიონ ჭელიძეს, რაზედაც მაქვს სათანადო საბუთი გ. ჭელიძის ხელმოწერილი.

საჭიროა მიმართოთ მას, ვისაც თქვენ მიეცით მინდობილობა.

მე-2 ლეგიონის ხაზინადარი

ჭელიძე.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. მ. ჩიბათელს (3-ე ლეგ.) თქვენი წერილი ლეგ. სკოლის შესახებ არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. გ. ვანელს (პირველი საკავშირო ასეული) თქვენი წერილი სამხკორების როლი ნაწილებში არ გამოდგა.

ამხ. ანხ. გლეხიშვილს (5-ე ლეგ.) ჩიჩალაძეს და ტუხაშვილს. თქვენი კორესპონდენციები: „გამოსწორება სჭირდება“, „ახლად მისალები ლაშქრელები“ და „6-ე ტერლეგიონი“ არ დაიბეჭდება, მოგვაწოდეთ სხვაზე წერილები.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის 3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. გრიგოლ დომენტის-ძე მოდებაძეს (შორაპნის მაზ. სოფ. სალიეთის მცხოვ. უპარტიო). თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამხანაგის პარტიაში მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სკოლის 3-მე კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დაიკარგა** განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი კლიმენტი პავლეს-ძე სანიკიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.